საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ზატონ ირაკლი კობახიძეს

საკანონმდებლო წინადადება

როგორც მოგეხსენებათ, გასულ წელს საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი.

განხილულ საკითხთა შორის, სამწუხაროდ, ვერ მოხვდა აღნიშნულ კანონში არსებული ჩანაწერი, რომელიც მრავალ სირთულეს ქმნის ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებისთვის. საუბარია კანონის 661-ე მუხლის ჩანაწერზე, რომლის თანახმად სრულად აიკრძალა ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება. ამ რეგულაციიდან გამომდინარე პრობლემის წინაშე დგება სხვადასხვა სახის ერთობლივი პროექტების განხორციელება, რადგან ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და რომლის დაფუძნებაში მონაწილეობს სახელმწიფო, ავტომატურად უარყოფილია, როგორც ამგვარი ერთობლივი პროექტის მხარე/მონაწილე. ამ მხრივ, შეუძლებელი გახდა კინოცენტრის, კულტურის სამინისტროს, პროფილური სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლობა ერთობლივი პროექტების შექმნა-დაფინანსების ჭრილში. ყველაზე უფრო მეტად ამ შეზღუდვით ვიზარალეთ და ამჟამადაც ვიზღუდებით ჩვენ - ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ადამიანები. ქვეყანაში არ მოიძებნება სხვა მსხვილი ორგანიზაცია, რომელიც გვერდში დაუდგებოდა ქართულ კინემატოგრაფს, თეატრალურ ხელოვნებას, ზოგადად ხელოვნებას, გარდა ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა. ამის გარდა, სად, თუ არა კინოცენტრში და საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა დუღდეს ეს შემოქმედებითი პროცესი, რომელსაც შემდგომ ეთერში განთავსების და შესაბამისად გასაჯაროვების და პოპულარიზაციის პერსპექტივა გაუჩნდება.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 2-1448/19
31.01.2019 წ. ფურცლ. 3

ვიმედოვნებთ, რომ პროფესიონალების მხარდაჭერით შესაძლებელია მოიძებნოს სამართლებრივად სწორი, გამართული გამოსავალი და საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობისთვის და მიუკერძოებლობისთვის ჩრდილის მიყენების გარეშე, მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების საფუძველზე შექმნილი/დაფუძნებული კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი ორგანიზაციები - კინოცენტრი, შესაბამისი პროფილური სასწავლებლები და სხვ. უფლებამოსილი უნდა გახდნენ განახორციელონ საზოგადოებრივ მაუწყებლთან შემეცნებით/საგანმანათლებლო და კულტურულ დარგებში ერთობლივი პროექტების (სხვადასხვა ტელე-, რადიო- და ონლაინ პროდუქციის, გადაცემების, ღონისძიებების, ფილმების და ა.შ.) პირდაპირი ან/და ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება. ასე, მაგალითად, კინოცენტრს და მაუწყებელს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ერთად გადაიღონ კინო პროდუქცია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს და მაუწყებელს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ერთობლივად დააფინანსონ ან/და სხვა რესურსებით ითანამშრომლონ ახალგაზრდა რეჟისორების პროექტების ხელშეწყობის მიზნით. საქართველოში მოცემული დარგებისთვის განკუთვნილი შედარებით მცირე ფინანსური რესურსების პირობებში ამ შესაძლებლობების შეზღუდვა - დრამატული შეცდომაა.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ საკითხი აღნიშნულ კანონში კიდევ ერთი ცვლილების შეტანის თაობაზე და მხარი დაუჭიროთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს და გაამლიერებს საქართველოს კინო ხელოვნების, და არა მხოლოდ, ბაზრის პოზიციებს, ბევრ ნიჭიერ ადამიანს მისცემს განვითარების პერსპექტივას.

პატივისცემით,

საინიციატივო ჯგუფი:

ზაზა [illegible] [illegible]

[illegible] [illegible]

[illegible] [illegible]

[illegible] ([illegible])

[illegible] [illegible]

ნუგზარ [illegible] [illegible]

[illegible] [illegible]

საკონტაქტო პირი ნინო [illegible]

591 00 69 62

კოსტავას 68

საზოგადოებრივი მაუწყებელი.